ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6210408

ნომერი: AR1926889

თარიღი : 06.10.2022

გაცემის თარიღი : 16.11.2022

გაცნობის თარიღი : 16.11.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, N 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 6 ოქტომბრის №AR1926889 განმეორებითი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 9 სექტემბრის №6117245 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 13 ოქტომბრის №6163470 ბრძანებითა და 2022 წლის 31 ოქტომბრის №6187482, 2022 წლის 3 ნოემბრის №6192600 გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ისევ არ არის დადგენილი ხარვეზები გამოსწორებული, მათ შორის ავტომობილის სადგომებზე მითითებული ზომები, ისევ შეუსაბამოა მათზე დატანილ ფართობებთან, მაგ.: -6.00 ნიშნულის გეგმაზე მე-13 ავტოსადგომის ფართობია 5*5.5=27.5 კვ.მ., ხოლო გეგმაზე არასწორად არის დაფიქსირებული 27.3 კვ.მ. აგრეთვე, წარმოდგენილი და შეთანხმებული -6.00 და -3.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმებიც კვლავ შეუსაბამოა ერთმანეთთან, კერძოდ ზოგიერთი კონსტრუქციული ელემენტის მასალებია შეცვლილი, მაგ.: შეთანხმებული -6.00 ნიშნულის გეგმის მიხედვით „ა“ და „1“ ღერძების კვეთაზე კონსტრუქციული ნაწილები უნდა იყოს ბლოკის, თუმცა წარმოდგენილ ამავე ნიშნულის გეგმაზე აღნიშნულ ღერძებზე კონსტრუქციული ნაწილები მოწყობილია გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურული ელემენტებით (მონოლითურია).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და ამასთან, სამსახურის მიერ არაერთხელ მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ გამოსწორდა, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2022 წლის 6 ოქტომბრის №AR1926889 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.